ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის შორის

ქ. ბათუმი

4 აპრილი, 2023 წელი

პრეამბულა

ერთი მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, თეიმურაზ კეჟერაძის მიერ და მეორე მხრივ, ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (შემდგომში „განათლების ფონდი"), წარმოდგენილი დირექტორის, სულიკო თებიძის მიერ, ორივე ერთად „მხარეებად" წოდებული, ეყრდნობიან რა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, უცხო ენების პოპულარიზაციის, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის, ერთობლივი პროექტების მომზადებისა და განხორციელების მიზნით, თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- უცხო ენების პოპულარიზაციას;
- უცხო ენების ცოდნის დონის ამაღლებას;
- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ერთობლივი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
- ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. მხარეები წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ ერთმანეთის მატერიალურ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ რესურსს მომერანდუმის მიზნების მისაღწევად.

1.3. მხარეები ერთმანეთს გაუწევენ კონსულტაციებს, განახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, მოამზადებენ ერთობლივ სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, მასტერკლასებს და სხვადასხვა სახის ერთჯერად პროექტებს.

1.4. მხარეები უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას.

1.5. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.).

1.6. განათლების ფონდი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისათვის უცხო ენების შემსწავლელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების უსასყიდლოდ შეთავაზებას.

1.7. განათლების ფონდი თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების პროცესში.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

3.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3 მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

თ. კეჟერაძე

მის.: ბათუმი 6000, ზ.გორგილაძის/ ვაჟა-ფშაველას №19/32
საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496
ტელ.: +995 551 21 75 77
ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის

დირექტორი

ს. თებიძე

მის.: ბათუმი (6010), ზაგრატიონის ქ. 123

საიდენტიფიკაციო კოდი: 445393404
ტელ.: (422) 24 84 80
ელ.ფოსტა: ajaraedufund@gmail.com
ვებ.გვ. aef.ge